

## რ ე ც ე ნ ზ ი ა

გამომცემლობა „ტექნიკურმა უნივერსიტეტმა“ დასტამბა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციების ფაკულტეტის სრული პროფესორის დიმიტრი ნამგალაძის მონოგრაფია „მაგისტრალური ნავთობგაზისადენების საიმედოობის და ეკოლოგიური უსაფრთხოების ამოცანები“.

მონოგრაფია შეიცავს შესავალს, ხუთ თავს, 18 ნახაზს, 10 ცხრილს და 66 ლიტერატურულ წყაროს.

მსოფლიოში დღეისათვის არსებობს ზედაპირული და გრუნტის წყლების, აგრეთვე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემები, რომლებიც ქმნიან საშიშროებას ადამიანის ჯანმრთელობისათვის და გარემოსათვის. ნავთობსადენების (ასევე ნავთობპროდუქტსადენების) და გაზსადენების ავარიების შედეგად პრიორული ხვდება გრუნტში, აქვატორიებში და ატმოსფეროში, წყლის გარემოში და ატმოსფერულ ჰაერში. ასეთი მოვლენები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას სხვადასხვა მიზეზით, უარყოფითად მოქმედებს ენერგეტიკულ ობიექტების მოწყობილობაზე, მათი მუშაობის საიმედოობაზე და ხანგამძლეობაზე. აქედან გამომდინარე თეორიაზე ან ექსპერიმენტზე დამყარებული მეთოდოლოგიურად გამართული თანამედროვე მოდელების შექმნა, რომელიც ეხება აღნიშნული პრობლემის შესწავლას მეტად აქტუალურია.

პირველ თავში მოყვანილია მაგისტრალური გაზსადენის უბანზე გაუონგის ალმოჩენის ანალიზურ-რიცხვითი მეთოდი.

მეორე თავში განიხილება გაზსადენების ექსპლუატაციის ეკოლოგიური ასპექტები, დაბინძურების ნივთიერების გაფრენება ატმოსფეროში და გარემოსდაცვითი ღონისძიებების შემუშავება. განხილულია დაბინძურების გაფრენება ატმოსფეროში, მეთანის გაქრევა, მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციისას ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, ჰაერის ხარისხი, ჰიდროლოგია და ზედაპირული წყლების ხარისხი, მავნე ნივთიერებათა გაფრენებისას მაქსიმალური კონცენტრაციების ველის დადგენის მეთოდიკა, მავნე ნივთიერებათა გაფრენებისას მაქსიმალური კონცენტრაციების ველის დადგენის მოდიფიცირებული მეთოდიკა.

მესამე თავში, მოყვანილია ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენების რეჟიმების გამოკვლევა. კერძოდ განხილულია ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენების ნატურული გამოკვლევა; ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენების კოროზიული ღრმულების მაქსიმალური სიღრმის ალბათური მახასიათებლების დადგენა; ნატურული გამოკვლევები ექსპლუატაციაში მყოფი მილსადენების ლითონის შიდა და გარე კარგვის პარამეტრების დადგენა; კოროზიული ღრმულების გეომეტრიულ პარამეტრებს შორის კორელაციური კავშირის დადგენა, ნატურულ გამოკვლევებზე დაყრდნობით; სიგრძეზე წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსაზღვრა ექსპერიმენტალური გზით და სიგრძეზე წინააღმდეგობის კოეფიციენტის განსაზღვრა ხელოვნური ხორკლიანობის შემთხვევაში და ექვივალენტური ხორკლიანობის განსაზღვრა კოროზირებული მილსადენისათვის.

მეოთხე თავში განხილულია ექსპლუატაციაში მყოფი ნავთობსადენების გაანგარიშება, სიგრძეზე ჰიდროგლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის ცვლილების გათვალისწინებით; კოროზიული ღრმულის (კავერნის) სითხით გარსდენის

ფიზიკური მექანიზმი და თვისობრივი ანალიზი; მაგისტრალურ ნავთობსადენებში კოროზიული ღრმულების გავლენა საშუალო სიჩქარის ცვლილებაზე და ექსპლუატაციაში მყოფი მიღსადენების გაანგარიშება პიდრავლიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტის ცვლილების გათვალისწინებისას.

მეხუთე თავში შესწავლილია მაღალი ეპოლოგიური რისკ-ფაქტორის მქონე გარემოში მაგისტრალური ნავთობსადენის გაუონვის მოვლენის შესწავლა.

მონოგრაფია სასარგებლო იქნება მაგისტრანტების, დოქტორანტების და მეცნიერ-მკვლეარებისათვის, რომლებიც დასინტერესებულნი არიან ზემოაღნიშნული საკითხებით.

### რეცენზები:

**ტექნ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი ი. ლომიძე**

**ტექნ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი გ. ხელიძე**

რედაქტორი: **ტექნ. მეცნ. დოქტორი, სრული პროფესორი ი. ბერლაძე**